თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7710237

ნომერი: AR11117285

თარიღი : 13.11.2025

გაცემის თარიღი : 20.11.2025

გაცნობის თარიღი : 20.11.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაიონი გლდანი ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ნიკო კეცხოველი , N 58;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზი ესიავა პ/ნ 02001003670
- თბილისი. კრწანისის რაიონი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა # 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 15 სექტემბრის №7627243 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 13 ნოემბერს №AR11117285 განცხადებით მომართა თენგიზი ესიავამ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 15

სექტემბრის №7627243 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 15 სექტემბრის №7627243 ბრძანებით შეთანხმდა, №01.11.12.005.560 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (VII ბლოკი) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2025 წლის 09 ოქტომბრის №7658934 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 09 ოქტომბრიდან 2027 წლის 09 ივნისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2025 წლის 24 სექტემბრის №7640561 ბრძანებით გასწორდა სამსახურის 2025 წლის 15 სექტემბრის №7627243 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 20636.7 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 4804.1 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 4364.1 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 753.5 კვ.მ., საერთო ფართობად - 35145.8 კვ.მ. სამსახურის 2025 წლის 15 სექტემბრის №7627243 ბრძანებით შეთანხმებული +33.20 ნიშნულის გეგმა (გვ. 18) ჩანაცვლდა №AR11109096 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმებით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია 2025 წლის 15 სექტემბრის №7627243 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 20636.7 კვ.მ-ის ნაცვლად 19948.4 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 4804.1 კვ.მ-ის ნაცვლად 4617.8 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 4364.1 კვ.მ-ის ნაცვლად 4228.6 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 753.5 კვ.მ-ის ნაცვლად 731.9 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 35145.8 კვ.მ-ის ნაცვლად 34114.1 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 15 სექტემბრის №7627243 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 15 სექტემბრის №7627243 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 19948.4 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 4617.8 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 4228.6 კვ.მ., დამხმარე ფართობად 731.9 კვ.მ., საერთო ფართობად 34114.1 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 15 სექტემბრის №7627243 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 15 სექტემბრის №7627243 და 2025 წლის 24 სექტემბრის №7640561 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.